ქედის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 466
03/06/2020

დაბა ქედა

466-03-4-202006031212

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4 (ოთხი) ერთეული მოძრავი ქონების საწვავი ცისტერნის უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითთმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის და 119-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“, „ქედის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის №24 დადგენილების „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებისა და მასში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4 (ოთხი) ერთეული მოძრავი ქონების საწვავის ცისტერნის პრივატიზება განხორციელდეს უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით თანახმად დანართი №1-სა.

2. მუნიციპალური ქონებების საწყისი საპრივატიზებო საფასური, ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/“ბე“ და „ბიჯი“-ს ოდენობა განისაზღვროს თანახმად დანართი №1-სა.

3. ფასის თაობაზე შემოთავაზებული საბოლოო თანხა (ბიჯი), რომლითაც გამოვლინდება გამარჯვებული ემატება საწყის გასაყიდ ფასს და მათი ჯამი წარმოადგენს საბოლოო გასაყიდ ფასს.

4. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო: აუქციონი იწყება 2020 წლის 03 ივნის 15:00 საათზე და სრულდება 2020 წლის 15 ივნის 15:00 სათზე;

5. დამტკიცდეს ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ქონებების პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია, თანახმად დანართისა.

6. ელექტრონული აუქციონის პროცედურები განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ელექტრონული აუქციონის პორტალ www.eauction.ge-ს მეშვეობით.

7. დაევალოს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების სამსახურს (გ. წითელაძე) უზრუნველყოს აუქციონის შესახებ განაცხადის განთავსება ვებგვერდზე www.eauction.ge.

8. დაევალოს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციულ სამსახურს (ბ. სურმანიძე) წინამდებარე ბრძანება (უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზების შესახებ ინფორმაცია) გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე www.keda.ge.

9. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქედის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს რ. ბერიძეს.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებიდან 3 (სამი) წლის ვადაში.

11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლევან გორგილაძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა